აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №2

2024 წლის 30 მაისი

ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მუზეუმის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მუზეუმის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №12 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 08/05/2018, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.32.057.016278) და დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მუზეუმის დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მუზეუმი აერთიანებს ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის, აჭარის ხელოვნების მუზეუმის, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის, ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმისა და სულიკო ჟღენტის ბათუმის კინოს მუზეუმის საცავებს. მუზეუმის საცავებში (დეპოზიტარიუმებში) დაცული სამუზეუმო ექსპონატებით სარგებლობის წესი განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**